



# ონის მუნიციპალიტეტის მერია

## ონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

ქ. ონი



N 88  
20/01/2020

88-02-4-202001201511



### მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 26 დეკემბრის N2641 ბრძანებაში „ონის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხვული ავტომანქანებისათვის საწვავის ყოველთვიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 26 დეკემბრის N2641 ბრძანებაში - „ონის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხვული ავტომანქანებისათვის საწვავის ყოველთვიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“, კერძოდ: 900 ლიტრი ბენზინის ყოველთვიურ ლიმიტს დაემატოს 200 ლიტრი და გახდეს 1100 ლიტრი. ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ონის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხვული ავტომანქანებისათვის საწვავის ყოველთვიური ლიმიტი განისაზღვროს:

- ბენზინი -1100 ლიტრი;
- დიზელი - 600 ლიტრი.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

ემზარ საბანაძე

მუნიციპალიტეტის მერი

